გახსენება

რამინ რამიშვილი
(1928-2012)

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 2012 წლის 30 აგვისტოს გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი და არქეოლოგი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამინ რამიშვილი.

ბატონი რამინი დაიბადა თბილისში 1928 წ. 2 ივლისს, ცნობილი მეცნიერის, ამპელოლოგის, მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1947 წ. ვერცხლის მედალზე დაამთავრა მე-9 საშუალო სკოლა, 1952 წ. კი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ხდება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ასპირანტი. 1957 წლიდან ის უკვე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია.

ბატონმა რამინმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ქართულ არქეოლოგიას. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექვსი ათეული წლის განმავლობაში იკვლევდა საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებს. მისი, როგორც არქეოლოგის ნათლობა შედგა ჯერ კიდევ მეორე კურსზე ყოფნის დროს 1950 წელს, როდესაც მან მონაწილეობა მიიღო უჯარმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. იმ ხანებში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ცნობილი არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე. გ. ლომთათიძემ პირველმა დაულოცა გზა არქეოლოგიაში ბატონ რამინს და ამ უკანასკნელმაც ბოლომდე გაუმართლა იმედები თავის მასწავლებელს. უჯარმის შემდეგ იყო: მცხეთა, ქვემო ქართლი, ენგურის ხეობა, ბიჭვინთა, იყალთო, მატანი, კვეტერა, ივრის ხეობა, ბოლოს კი არაგვის ხეობა.

ცალკე სასაუბრო თემაა ბატონი რამინის ხელმძღვანელობით არაგვის აუზსა და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება. მანამდე ეს რეგიონი, თითქმის, თეთრ ლაქას წარმოადგენდა საქართველოს არქეოლოგიურ რუკაზე. ქართველ არქეოლოგებს შორის ბევრი არ გვეგულება ისეთი პიროვნება, რომელსაც ბატონი რამინის მსგავსად ამდენი დრო მიეძღვნას ერთი კონკრეტული რეგიონის სიძველეთა გამოვლენა-შესწავლისათვის.

ჟინვალის ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით 1971 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტო-

რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, შეიქმნა ჟინვალის არქეოლოგიურიო ექსპედიცია. ახლად ჩამოყალიბებულ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ბატონი რამინი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი ბრძანდებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. ექსპედიციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახალ მშენებლობისა და დატბორვის ზონაში მოქცეული ძეგლების შესწავლა. მიწის სამუშაოების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ექსპედიციის სამოქმედო არეალიც. მალე მან მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიცვა. ექსპედიციის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების თავდადებული შრომის შედეგად გამოვლინდა და არქეოლოგიურად შესწავლილი იქნა სხვადასხვა ეპოქის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლი, დაწყებული ძვ. წ. VI ათასწლეულიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით.

ექსპედიციაში ჩამოყალიბდა რაზმი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენა და მათი ფიქსაცია. საველე არქეოლოგიურ სამუშაოების პარალელურად აღიწერა და დოკუმენტურად დაფიქსირდა ასეულობით მატერიალური კულტურის ობიექტი. მათ შორის დიდი რაოდენობით იყო ახლად აღმოჩენილი, სპეციალისტებისათვის სრულიად უცნობი, ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები. ბატონი რამინის ხელმძღვანელობით ჟინვალის ექსპედიციამ, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, კარგად გაართვა თავი დაკისრებულ საპასუხისმგებლო საქმეს და განადგურებას გდაარჩინა მრავალი პირველხარისხოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. მოპოვებული დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომლის სრულად გამოქვეყნება ვერ მოასწრო, შესასწავლად და გასააზრებლად დაუტოვა მომავალ თაობებს. ვისაც არ უმუშავია ახალმშენებლობებთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ ექსპედიციაშია, იმან არ იცის და ვერც შეაფასებს არქეოლოგების შრომას, თუ როგორ ექსტრემალურ ვითარებაში უხდებათ შრომა. ჟინვალის ექსპედიცია (მოგვიანებით მას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ეწოდა) მთელი 15-16 წლის განმვლობაში მუშაობდა ასეთ დაძაბულ რეჟიმში.

სამაგალითოა ბატონი რამინის მიერ, როგორც პიროვნების, როგორც საქართველოს გულმხურვალე პატრიოტის, მეცნიერის, არქეოლოგ- მკვლევარისა და პედაგოგის გავლილი გზა.

1960 წელს რამინ რამიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ქართლის სამეფო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“. დისერტაციას საფუძვლად დაედო მცხეთის

შემოგარენში, კამარახევში, მისი მონაწილეობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. 1962 წლიდან ბატონი რამინი ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1984 წელს ის იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე – „ქართლის სამეფო ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“. 1984-2003 წლებში რამინ რამიშვილი იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუასაუკუნეთა ხანის განყოფილების გამგე.

ბატონი რამინი ავტორია 150-ზე მეტი ნაშრომისა. მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის, სადაც სრულიად ახლებურადაა დასმული და გადაჭრილი იმ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. ბ-ნი რამინის ხელმძღვანელობით რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა დუშეთის (მილახვრიანთ კარის) არქეოლოგიურ ბაზაზე. სამეცნიერო კონფერენციების ძირითადი თემა იყო მთისა და ბარის ურთიერთობა პრეისტორიულ და შუასაუკუნეების განმავლბაში არამარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოს მასშტაბებით. ბ-ნი რამინი აქტიურად იყო ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე მონოგრაფია, კრებული და პერიოდული გამოცემა. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიცაა: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „ჟინვალის ექსპედიციის სამეცნიერო სესიის მასალები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ძეგლები“, „ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენციის მასალები“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი რამინის როლი ახალგაზრდა კოლეგების მეცნიერული ზრდისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში. მისი ინიციატივით დაარსდა კრებული „არქეოლოგიური ძიებანი“, რომელშიც იბეჭდებოდა ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები. გამოიცა 5 კრებული და ამ კრებულების რედაქტორი ბატონი რამინი თვითონ გახლდათ.

ბატონი რამინი იყო ყველა თანამშრომლის ანგარიშის, მოხსენების, სტატიის თუ დისერტაციის რედაქტორ-გამსწორებელი. ამისთვის მას ხშირად ღამეების თენებაც კი უხდებოდა ხოლმე. მას სანიმუშოდ ჰქონდა მოწესრიგებული საველე დოკუმენტური ანგარიშების მომზადება-ჩაბარების საქმე. ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ნებისმიერი წევრის მიერ მომზადებული დოკუმენტური ანგარიში უკვე გამოკვლევის ტოლფასი იყო და ასეთი სახით ბარდებოდა არქეოლოგიურ კომისიას.

ბატონი რამინის ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. იყო რამდენიმე სადოქტორო დის-

ერტაციის მეცნიერ-კონსულტანტი. ბატონი რამინი სამეცნიერო და საექსპედიციო საქმიანობას პედაგოგიურ საქმიანობასაც უხამებდა. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში იგი წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს – „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია და ძეგლთა დაცვის საფუძვლები“, ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ რამინ რამიშვილი 1992 წელს აირჩია პროფესორის თანამდებობაზე.

ბატონმა რამინმა სრული დანგრევისა და განადგურებისაგან იხსნა დუშეთის რაიონის სოფელ მილახვრიანთ კარში არსებული ჭილაშვილების XVIII საუკუნის ციხე-სასახლე. ისედაც გაპარტახებულ და განადგურებულ ისტორიულ ძეგლს არა ნაკლებ ზიანს აყენებდნენ ამ სასახლეში შესახლებული ორგანიზაციები თუ ოჯახები. გასული საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში, იმ დროს როდესაც ეს სასახლე ბატონმა რამინმა მოინახულა, ხანძრისაგან გადარჩენილ ფლიგელებში განთავსებული იყო დაწყებითი სკოლა, სოფლის კლუბი, მაღაზია, რამდენიმე ოჯახი და „სოფტექნიკის“ დირექცია. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა აღნიშნულმა ორგანიზაციამ გვიანი შუასაუკუნეების ამ მნიშვნელოვან ძეგლს. 30-ან წლებში მთლიანად დაანგრიეს სასახლის დასავლეთი ფლიგელი. პირველ სართულზე, 1.5 მ. სიგანის კედელები რამდენიმე ადგილზე გაანგრიეს და კარის ღიობები გააკეთეს. სასახლის კარის ეკლესიაში კი ტრაქტორების სარემონტო სახელოსნო იყო გახსნილი.

ბატონ რამინს ციხე-დარბაზის ნახვისთანავე ჩაუფიქრებია, რომ სასახლის გადრჩენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადაეცემოდა ჟინვალის ექსპედიციას და შიგ მოეწყობოდა ბაზა. ბატონმა რამინმა თავისი შეუპოვარი და მებრძოლი ხასიათის წყალობით, დიდი ნერვიულობის ფასად, საწადელს მიაღწია. საქართველოს იმდროინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით ჭილაშვილების სასახლე გადაეცა ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას და გასახლებული იქნა ყველა ორგანიზაცია და იქ მცხოვრები ოჯახები, რისთვისაც დამატებით გამოიყო ფულადი სახსრები. ბატონი რამინი მუდამ თბილად იხსენებდა მინისტრთა საბჭოს იმდროინდელ თვმჯდომარეს ბატონ გივი ჯავახიშვილს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ბაზის საკითხის გადაწყვეტის დროს.

ექსპედიციის ხარჯებითა და ძალებით დაწყებული რემონტის მერე, რაც საკმაოდ დიდ ხანს გრძელდებოდა, ჭილაშვილების სასახლე თანდათანობით მწყობრში ჩადგა და პირვანდელი სახე დაუბრუნდა. ყველაფერი ეს გაკეთდა ბატონი რამინისა და

ექსპედიციის თითოეული წევრის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად. 1975 წელს ბაზაში განთავსდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული დიდძალი მასალა: გათხრების დოკუმენტაცია, არქივი, ბიბლიოთეკა. ბაზაზე მოეწყო ფოტოლაბორატორია, სარესტავრაციო სახელოსნო, საკონფერენციო დარბაზი, ეთნოგრაფიული კოლექციების საცავი, სამუშაო ოთახები ექსპედიციის წევრთათვის თუ მასალების გასაცნობად ჩამოსული კოლეგებისათვის. წლების მანძილზე ამავე ბაზაზე ტარდეობოდა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები.

სანიმუშოდ მოვლილი ბაზის ეზოში, ძირითადად ჟინვალის ნაქალაქარიდან, გადმოტანილ იქნა გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლები. ბატონი რამინის თაოსნობით 2008 წელს ბაზაზე, ორ დარბაზში, მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ექსპედიციის მიერ მოპოვებული, თითქმის ყველა ეპოქის მნიშვნელოვანი მასალები. მისი მცდელობით მილახვრიანთ კარის ბაზა იქცა სამეცნიერო ცენტრად, სადაც მომზადდა არაერთი საინტერესო ნაშრომი საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემების შესახებ.

ბატონი რამინისათვის მილახვრიანთ კარის ბაზა იქცა მეორე სახლად, რომელიც მისი ყოველდღიური საზრუნავი იყო. მას ძალიან უყვარდა იქ ყოფნა და მუშაობა. მუდამ წუხდა იმაზე, რომ ბოლომდე ვერ შეძლო ჭილაშვილების ციხე-დარბაზის აღდგენა-რესტავრაცია. დიდად გაიხარა, როცა გაიგო, რომ ეროვნული მუზეუმის დირექცია ბაზის კოშკების სახურავების რესტავრაციას იწყებდა. სამწუხაროდ, მან ვეღარ შეძლო თავისი თვალით ენახა, თუ როგორ გამოიყურებოდა რეაბილიტირებული სახურავები. ბატონმა რამინმა 2010 წლის ზაფხულში ბაზაზე ყოფნისას ფეხი მოიტეხა, მიუხედავად იმისა რომ ფეხზე დადგა, მან დამოუკიდებელი სიარული ვეღარ შეძლო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბატონი რამინი, შვილების და შვილიშვილების დახმარებით, მაინც ახერხებდა ბაზაზე ასვლას და ცოტახნით იქ დარჩენას. სიცოცხლის უკანასკნელი თვეებიც თავის უსაყვარლეს ადგილას გაატარა. ბოლო ორი წლის განმავლობაში სახლში გამოკეტილს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა. აქეთ მოსაკითხი და გასამხნევებელი ტელეფონით ყველას მოიკითხავდა და გაამხნევებდა. არ გამორჩებოდა არც ერთი დღესასწაული თავისი კოლეგების და თანამშრომლებისათვის რომ არ დაერეკა და არ მიელოცა.

ბატონ რამინს ოჯახიდან მოსდევდა ვაზისა და ვენახის სიყვარული. მამა, ბატონი მაქსიმე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი ქართული ვაზის დიდი მესაიდუმლე იყო. ძმა, რევაზი, გამოჩენილი მევენახე, სელექცია-ჯიშთმცოდნეობის უბადლო მკვლევარი, პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგე იყო წლების განმავლობაში. მამა-შვილის ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობით გამოყვანილი იქნა ცნობილი სელექციური ჯიშები: „ვარძია“, „კოლხეთი“, „ივერია“, „ქცია“ და სხვ. რა გასაკვირია, ასეთი ოჯახის შვილს, ვაზის განსაკუთრებული სიყვარული რომ ჰქონოდა. ბატონმა რამინმა, არქეოლოგიურ ბაზაზე, გააშენა შესანიშნავი ხეივანი, ნაწილობრივ განაახლა ჭილაშვილების დროინდელი მარანი, სადაც ყოველ შემოდგომაზე ადგილზე მოწეული ტონამდე ყურძენი იწურებოდა. ბაზაზე მოსულ სტუმრებს და კოლეგებს თავისი ღვინით უმასპინძლდებოდა ხოლმე ბატონი რამინი. ყოველი ახალი წლის წინა დღეებში ღვინით გაავსებდა რამოდენიმე ჭურჭელს და თბილისში თავის მეგობრებს და კოლეგებს მოიკითხავდა.

მომავალ წელს ბ-ნი რამინის 85 წლის იუბილის აღნიშვნისათვის ვემზადებოდით და გარკვეულ გეგმებსაც ვაწყობდით. ამის შესახებ ბატონ რამინსაც გავანდეთ ჩვენი განზრახვა. მან კი რაღაც სევდიანად გაიღიმა და გვითხრა, ვნახოთ ღმერთმა თუ მანამდე მაცალაო. საუბედუროდ მართლაც რომ აღარ აცალა უფალმა. რა თქმა უნდა თარიღს უთუოდ აღვნიშნავთ, მაგრამ სამწუხაროდ უკვე მის გარეშე.

ძნელია ბატონი რამინის გარეშე წარმოიდგინო მილახვრიანთ კარში არსებული, მისი აღორძინებული და ნაპატრონები ჭილაშვილების ციხე-დარბაზი, თავისი მდიდარი არქეოლოგიური კოლექციებითა და საგამოფენო დარბაზებით. 28 აგვისტოს ველაპარაკეთ ბოლოს, მარიამობის დღესასწაული მივულოცეთ ბატონ რამინს. გაუხარდა. რა კარგია რომ დარეკეთ, 20 სექტემბერს ბაზაზე სტუმრები გვეყოლება და აუცილებლად უნდა იყოთო. აი, ეს იყო მასთან ჩვენი ბოლო საუბარი. ბატონი რამინი 30 აგვისტოს, თავის სამუშაო მაგიდასთან, გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა.

წავიდა ამ ქვეყნიდან თავის სამშობლოზე და საქმეზე შეყვარებული ადამიანი. თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, მუდამ სხვებზე მზრუნველი და მოფიქრალი, გაჭირვების დროს გვერდზე მდგომი, ყურადღებიანი, თბილი, კეთილი და მიმტევებელი, არა მოშურნე, სხვისი წარმატებების გულით მოხარული და დამფასებელი, ასეთი იყო ბატონი რამინი და ასეთი ემახსოვრება ყველას, ვისაც მასთან რაიმე ნაცნობობა და სიახლოვე ჰქონდა.

დავით მინდორაშვილი
გიორგი გოგოჭური